საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №11

ქ. თბილისი 16.08.2016

სხდომას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მაგდა მაღრაძე - სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საერთო საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, სხდომის მდივანი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლები:

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

თეა გოგოტიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
ნიკო კვარაცხელია - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ტურიზმის მიმართულების ხელმძღვანელი;
დიმიტრი ნადირაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
დავით კერესელიძე - ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე;
ელენე მამუკელაშვილი - ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის იურისტი;
ხათუნა საგანელიძე - ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის დეკანი;
დავით ჩერქეზიშვილი - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი;

ვ. ვ.

ზვიად როგავა - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
დავით ბოსტოღანაშვილი - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
რუსუდან ჩიქოვანი - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პრორექტორი;
შალვა მაჭავარიანი - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

ნანა საგინაშვილი;
მანანა ხაჩიძე;
ნანა არაბული;
მაია გონაშვილი;
ეკა ლეკაშვილი;
თამარ გაიხარაშვილი;
თამარ ვალიშვილი;
ნინო ჯოჯუა;
ზაზა რუხაძე;
ეკატერინე ბაღიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 11:15 საათზე.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის მდივნის მოვალეობა შეასრულა ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

ე. ე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო და კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სოციოლოგიის (სოციოლოგია, დემოგრაფია) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სოციალური და განწყობის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამედიცინო რეაბილიტაციისა და საექთნო საქმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამედიცინო რეაბილიტაციისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

ჟ. ჟ.

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სოციოლოგიის (სოციოლოგია, დემოგრაფია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: სოციოლოგია (სოციოლოგია, დემოგრაფია)
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი, სპეციალობა - სოციოლოგია
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა ნანა საგინაშვილმა.

- წარმოდგენილი პროგრამა სავსებით უზრუნველყოფდა დასახული მიზნისა და ამოცანების განხორციელებას, კურსდამთავრებულისათვის აუცილებელი და საკმარისი კომპეტენციების განვითარებას. თუმცა, სასურველი იყო პროგრამის განვითარების პროცესში შემდგომი ფოკუსირება ემპირიული სოციოლოგიური კვლევების მიმართულებით, თუნდაც არსებულის პარალელურად, არჩევითი სალექციო კურს(ებ)ის დამატებით.

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ მიმართა ექსპერტს რეკომენდაციასთან დაკავშირებით მიეცა კონკრეტული განმარტება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამა გახლდათ ახალი, ეხმიანებოდა ყველა სტანდარტს და გადიოდა დასახულ მიზანზე, ხოლო რაც შეეხებოდა რეკომენდაციაში ასახულ მითითებას მეტი ფოკუსირება გაკეთებულიყო კვლევების მიმართულებით, აქ იგულისხმებოდა პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა აკადემიური პერსონალის მონაცემებით, კერძოდ მოწვეული და ადგილობრივი ლექტორების პროპორციით პროგრამაში, ვინაიდან აღნიშნული ინფორმაცია არ იყო გადმოცემული ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში და საგულისხმო იყო, რომ ბაკალავრიატს სჭირდებოდა სტაბილურობა აკადემიური პერსონალის თვალსაზრისით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 13 ლექტორი ემსახურებოდა პროგრამას, ხოლო ადგილობრივი პერსონალი იყო 8. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას, პროგრამის განვითარების

ჟ. ჟ.

პროცესში აუცილებლად მოხდებოდა კვლევის კომპონენტის გაძლიერება, კერძოდ მოსაზრების თანახმად, ცალ- ცალკე იქნებოდა აღნიშნული რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის მეთოდები, შესაბამისად დარგობრივ ცოდნასთან ერთად დაწესებულება სიამოვნებით გაიზიარებდა მიღებულ რეკომენდაციას, რომელიც სამომავლოდ ასახვას ჰპოვებდა პროგრამაში. ასევე რაც შეეხებოდა ექსპერტის მოსაზრებას ზოგად კომპონენტთან დაკავშირებით საუნივერსიტეტო დონეზე, უნივერსიტეტში დაგეგმილი იყო ზოგადი სავალდებულო საუნივერსიტეტო კურსების გადახალისება ტრანსფერულ უნარებზე გასვლის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი იყო სწავლის საფასური, რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდნენ და როგორ ხორციელდებოდა პრაქტიკის კომპონენტი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სწავლის საფასური შეადგენდა 2250 ლარს, პირველ ეტაპზე გეგმავდნენ 20-დან 30-მდე განაცხადის მიღებას, პრაქტიკის კომპონენტი ბაკალავრიატში არ იყო გათვალისწინებული, ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელის აზრით პრაქტიკა უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა მაგისტრატურის საფეხურზე. რაც შეეხებოდა დემოგრაფიის საკითხს, სარგებლობდა საკმაოდ მზარდი მოთხოვნებით, პარლამენტის მიერ ახლად დამტკიცებული გახლდათ დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელშიც სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრინციპად აღიარებული იქნა კვალიფიციური კადრების მომზადების სისტემის ჩამოყალიბება დემოგრაფიის ჭრილში. უნივერსიტეტის მიზანიც გახლდათ სწორად ეს. მოთხოვნა პროგრამაზე გახლდათ იმაზე დიდი ვიდრე ელოდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში გადმოცემული იყო, რომ პროგრამა შემუშავებული იქნა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლის შესაბამისად, საბჭოს აინტერესებდა რომელი დამსაქმებლების მოთხოვნები იქნა გათვალისწინებული

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ მხარს უჭერდა რამდენიმე დაწესებულება, ხელშეკრულებები გაფორმებული იყო დემოგრაფიის დარგში საქსტატთან, ხოლო სოციოლოგიის განხრით თანამშრომლობდნენ სოციოლოგიური კვლევის კომპანიებთან.

საბჭოს წევრი რევაზ სოლომონია დაინტერესდა, დადებითი პასუხის შემთხვევაში ასწრებდა თუ არა უნივერსიტეტი სტუდენტების მიღებას აღნიშნულ პროგრამაზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიღების გამოცხადებას გეგმავდნენ მომავალი სასწავლო წლიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სოციოლოგიის (სოციოლოგია, დემოგრაფია) საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

Ж. Ж.

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სოციოლოგიის (სოციოლოგია, დემოგრაფია) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

Ж. Ж.

2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიები
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმატიკის ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და შენიშვნები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა მანანა ხაჩიძემ და ნანა არაბულმა.

- პროგრამაში შემავალი კურსები მეტწილად უზრუნველყოფდნენ აღნიშნული კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. მაგ: რიგ საგნებში წარმოდგენილი თემების მოცულობა იყო დიდი და დროის წარმოდგენილ პერიოდში მათი სიღრმისეული შესწავლა იყო მიუღწევადი, ან გამოტოვებული იყო საკითხები რომელთა ცოდნა იყო აუცილებელი. მაგ: ოპერაციული სისტემებისა და მონაცემთა ბაზების ადმინისტრირების საფუძვლები - მასალა იყო დიდი მოცულობის; სასწავლო კურსში ,,მონაცემთა ბაზები" უნდა შეესწავლებინათ მათემატიკური და ტექსტური ფუნქციები, ინდექსები, ტრანზაქციები, წარმოდგენები, რადგანაც აღნიშნული თემების შესწავლის გარეშე შეუძლებელი იყო პროგრამის მიზნით გათვალისწინებულ შემდეგ შედეგზე გასვლა: ,,ათვისებული ჰქონდა მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების წამყვანი კონცეფციები და შეეძლო აღნიშნული სისტემების გამოყენებით კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტა, მათ შორის ბიზნესის სფეროშიც".
- პროგრამაში შემავალი კომპონენტი განეკუთვნებოდა, როგორც ინფორმატიკის ასევე ბიზნესის დარგს, რასაც უნდა უზრუნველეყო პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევა. პროგრამაში წარმოდგენილი საგნების გადანაწილება სავალდებულო და არჩევით დისციპლინათა ნუსხაში, გარკვეული არ არჩევის შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფდა პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. მაგ: ,,მენეჯმენტის საფუძვლები", ,,ბინეს-პროცესების მოდელირების ენა და ინსტრუმენტული საშუალებები", ,,გამოყენებითი სტატისტიკის საფუძვლები". ამასთან რიგი საგნები, რომლებიც აუცილებელი იყო ინფორმატიკოსისათვის წარმოდგენილი იყო სხვადსხვა

ე. ე.

საგნებში გაბნეულად რამდენიმე საკითხის სახით (ქსელები და ქსელური კომუნიკაციები) რაც არ იყო საკმარისი ამასთან დასაქმებულთა გამოკითხვა ადასტურებდა აღნიშნული საგნის მოთხოვნას. ასევე აუცილებელი იყო დისციპლინები ,,მონაცემთა ანალიზი და სტატისტიკა" (სავალდებულო ორივე დარგისათვის) და ,,მოდელირება" გამომდინარე იქედან, რომ პროგრამის ერთ ერთი მიზანი იყო ,,კურსდამთავრებულს შესწავლილი ჰქონოდა ბიზნეს პროცესების კომპიუტერული მოდელირების ტექნოლოგიების საფუძვლები"; საგანი ,,პრეკალკულუსი" არ შეესაბამებოდა სწავლების წარმოდგენილ საფეხურს და მოიცავდა მხოლოდ ზოგადი განათლების მათემატიკის პროგრამას. აღნიშნული საგნის სავალდებულო ლიტერატურას წარმოადგენდა აბიტურიენტების მოსამზადებელი სახელმძღვანელოები.

- საგანმანათლებლო პროგრამაში არ იყო აღწერილი თუ რა მიმართულებით შეეძლებოდათ სწავლის გაგრძელება კურსდამთავრებულებს უმაღლესი მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში. აღნიშნულიდან გამომდინარე კონკურენტუნარიანობა სწავლის გაგრძელების მხრივ ეჭვქვეშ იდგა. რიგი აუცილებელი საკითხების არცოდნა, რაც განპირობებული იყო შესაბამისი დისციპლინების არ არსებობით ასევე ზღუდავდა კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე;
- საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის შექმნისა და განვითარების პროცესში მკვეთრად არ იკვეთებოდა აკადემიური პერსონალის ჩართულობა, მიუხედავად იმისა რომ დასტურდებოდა დამსაქმებლის მონაწილეობა პროგრამაში, მათი რეკომენდაციები სრულად არ იყო გათვალისწინებული;
- პროგრამის განხორციელების პროცესში გამოყენებული სწავლების სხვადსხვა მეთოდები (ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი, დისკუსია; ჯგუფური მუშაობა და სხვ.) ორიენტირებული იყო სტუდენტის მიერ შემდეგი კომპეტენციების შეძენაზე: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, ღირებულებები, გუნდური მუშაობის უნარი და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, მათი ერთობლიობა ზოგადად უზრუნველყოფდა პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, მაგრამ არ იყო გათვალისწინებული ცალკეული საგნის სპეციფიკა და ყველა დისციპლინებში წარმოდგენილი იყო უნიფიცირებული სახით;
- პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად არსებობდა სტუდენტთა ცოდნის შეფასების ერთიანი სისტემა, რომელიც შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობას, იყო მრავალკომპონენტიანი. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები დეტალურად იყო გაწერილი ყველა კურსის სილაბუსში მეტწილად უნიფირებული სახით ყველა საგნისათვის, რაც არ იძლეოდა სტუდენტის რიგი უნარების შეფასების კარგ საშუალებას. უნდა მომხდარიყო შეფასების მეთოდების შერჩევა საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ბუნდოვანი იყო ჯგუფური მუშაობის შეფასების პროცედურა. გაურკვეველი იყო სტუდენტის ინდივიდუალური უნარების და ცოდნის კრიტერიუმის შეფასება;
- პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ძირითადი სახელმძღვანელოები რომლებზე დაყრდნობითაც მიმდინარეობდა სწავლება, ნაწილობრივ დაფუძნებული იყო თანამედროვე სამეცნიერო კვლევების შედეგებზე. რიგ შემთხვევებში მითითებული იყო მხოლოდ ქართულენოვანი ლიტერატურა, რომელიც ნაწილობრივ ფარავდა სასწავლო კურსის შინაარსს. რიგ საგნებში მითითებული მოძველებული ლიტერატურა (ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 1 და 2. დაპროგრამების საფუძვლები PHP-ს ბაზაზე, WEB -

Ж. Ж.

დიზაინის საფუძვლები და სხვ.) სხვადასხვა საგნების რიგ საგნებზე მითითებული იყო მხოლოდ რუსულენოვანი ლიტერატურა, რაც ვერ უზრუნველყოფდა სტუდენტს შესაბამისი მასალით. ,,თანამედროვე საოფისე ტექნოლოგიების" და ,,მონაცემთა ბაზების" შესწავლა ხდებოდა ძველ პლათფორმაზე (2007 წლის პროგრამების საფუძველზე). საგანი ,,პრეკალკულუსი" რომელიც არ შეესაბამებოდა სწავლების წარმოდგენილ საფეხურს ძირითად და დამხმარე ლიტერატურად იყენებდა აბიტურიენტთა მოსამზადებელ სახელმძღვანელოებს. სასურველი იყო გადამუშავებულიყო პროგრამა შენიშვნების გათვალისწინებით და მომხდარიყო მისი ხელახალი წარდგენა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რეკომენდაციებიდან გამომდინარე აკმაყოფილებდა თუ არა პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ შენიშვნებიდან გამომდინარე პროგრამა საჭიროებდა გადამუშავებას და სასურველი იყო შენიშვნების გათვალისწინების შემდგომ ხელახლა ყოფილიყო წარმოდგენილი აკრედიტაციის საბჭოს წინაშე.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული ნიშნავდა იმას, რომ პროგრამა არ აკმაყოფილებდა აკრედიტაციის სტანდარტებს და თხოვნით მიმართა ექსპერტებს, რომ აღნიშნული ყოველთვის დაეფიქსირებინათ დასკვნაში, ვინაიდან თითქმის არცერთი ექსპერტი არ უთითებდა აღნიშნულ გარემოებას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შენიშვნები გახლდათ საკმაოდ ბევრი და იმ მიზნით, რომ რომელიმე მათგანი არ დარჩენილიყო პასუხგაუცემელი მათ წერილობით წარმოადგინეს თავიანთი პოზიცია, რაც დოკუმენტის სახით გადასცეს საბჭოს წევრებს გასაცნობად.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ექსპერტებს თუ ჰქონდათ საშუალება გაცნობოდნენ რეკომენდაციებზე შემუშავებულ პასუხებს და თუ იზიარებდნენ ისინი მოცემულ პასუხებს.

ექსპერტებმა განაცხადეს, რომ მათ არ ჰქონიათ საშუალება გაცნობოდნენ წარმოდგენილ პასუხებს.

თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გაეკეთებინათ წარმოდგენილი დოკუმენტის მოკლე რეზიუმე, ვინაიდან მისი წაკითხვა საბჭოს წაართმევდა ძალიან დიდ დროს, ხოლო დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო კიდევ რამდენიმე საკითხის განხილვა. საბჭოს აინტერესებდა მხოლოდ ძირითადი დასაბუთება იმის თაობაზე, რომ პროგრამა აკმაყოფილებდა სტანდარტს. საბჭო შესვენების დროს გაეცნობოდა მოცემულ დოკუმენტაციას და მხოლოდ ამის შემდგომ მოხდებოდა კენჭისყრა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაესვათ შეკითხვები წარმომადგენლისათვის.

საბჭოს წევრებმა მიმართეს ექსპერტს და სთხოვეს დაეფიქსირებინა მთავარი უარყოფითი დეტალები, რაზეც გამახვილდა ყურადღება.

ექსპერტმა ნანა არაბულმა განაცხადა, რომ აღსანიშნავი იყო, რომ პროგრამაში შემავალი საგნების ძირითადი ნაწილი გახლდათ არჩევითი, რომლის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტი ვერ გავიდოდა იმ კომპეტენციაზე, რომელიც მითითებული იყო პროგრამაში, ამიტომ აუცილებელი იყო კონკრეტული საგნების ძირითადი საგნების ბლოკში გადატანა. რაც შეეხებოდა პრეკალკულუსს აღნიშნულის თაობაზე მათ განუცხადეს, რომ როდესაც სტუდენტები მიდიოდნენ ზაფხულის არდადეგებზე გამოცდების ჩაბარების შემდგომ მათ აღნიშნული პერიოდის მანძილზე ავიწყდებოდათ მასალა და სწავლის დაწყების შემდგომ ხდებოდა მისი გამეორება. ასევე გარკვეული საგნები არ შეესაბამებოდა სასწავლო მასალას, ვინაიდან იყო დიდი მოცულობის და მისი ათვისება მცირე დროში გახლდათ შეუძლებელი. რაც შეეხებოდა ლიტერატურას, ძირითადი ნაწილი გახლდათ ქართულენოვანი და

Ж. Ж.

არსებობდა რუსულენოვანი ლიტერატურაც, ხოლო არგუმენტი ინგლისურენოვანი ლიტერატურის არარსებობისა გახლდათ ის, რომ მასალა ინფორმაციულ ტექნოლოგიაში აღნიშნულ ენაზე იყო ძალიან მწირი და ვერ მოხდა მისი მოძიება.

წარმომადგენელმა პირველ შენიშვნასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა შეესწავლებინა სტუდენტებისათვის ბიზნესის ინფორმაციული მხარდაჭერის მრავალფეროვანი სისტემები და პროგრამული უზრუნველყოფა, ექსპერტებისგან განსხვავებით მათ მიაჩნდათ, რომ მიზანი საკმაოდ ადვილად მისაღწევი იყო პროგრამის სავალდებულო საგნების საშუალებით, არჩევითი კურსების სტრუქტურა ისე იყო აგებული, რომ სტუდენტი თითოეული სემესტრის მანძილზე აუცილებლად აირჩევდა ერთ ისეთ საგანს, რომელიც ეხებოდა ბიზნესის სფეროში კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებას. რაც შეეხებოდა სწავლების შედეგის ერთ-ერთ პუნქტს ცოდნა-გაცნობიერებას აღსანიშნავი იყო, რომ ეკონომიკისა და ბიზნეს მოდულები განიხილებოდა ყველა არჩევით და რამდენიმე სავალდებულო მათ შორის მათემატიკური პროფილის საგნებში. რაც შეეხებოდა კომპიუტერულ ქსელებს, მოთხოვნა იყო საკმაოდ დიდი, პროგრამა გახლდათ მიზნობრივი, რომელსაც უნდა მოემზადებინა სპეციალისტები ბიზნეს სფეროში საქმიანობისათვის. კომპიუტერული ქსელების და კომუნიკაციების გამოყენება არ იყო ძირითადი მიმართულება ამ მიმართულების საქმიანობისათვის, საკმარისი იყო მომზადებულიყო სპეციალისტი რომელსაც ექნებოდა კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების უნარი. კომპიუტერული ქსელებისა და კომუნიკაციების საფუძვლების გასაცნობად მათი მოსაზრებით სავსებით საკმარისი იყო ის მასალა, რომელიც მოიცავდა შემდეგ სასწავლო კურსებს: კომპიუტერული სისტემების არქიტექტურა და ორგანიზაცია, ოპერატიული სისტემების და მონაცემთა ბაზების ადმინისტრირების საფუძვლები, ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში. სწორედ ამ სპეციალობაზე იყო დამსაქმებლის ინტერესიც.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა ადგილობრივი და მოწვეული პროფესორების პროპორციით და სავალდებულო კრედიტების განაწილებით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 120 კრედიტი იყო დარგობრივი სავალდებულო, 50 სპეციალობის არჩევითი, საბაკალავრო ნაშრომი 10 კრედიტი და თავისუფალი 10 კრედიტი. რაც შეეხებოდა აკადემიურ პერსონალს, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო იყო 25 პროფესორი საიდანაც 9 გახლდათ ფაკულტეტის ძირითადი მასწავლებელი. მოწვეული პროფესორების უმრავლესობა მოდიოდა არჩევით საგნებზე, ძირითადი საგნები მოდიოდა შტატიან თანამშრომლებზე.

საბჭოს წევრი ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, რომ ექსპერტების შენიშვნებში აღნიშნული იყო, რომ მონაცემთა ბაზების სწავლებას ეთმობოდა ცოტა დრო, რაზეც მათ მიერ წარმოდგენილ პასუხებში ირკვეოდა, რომ აღნიშნული საგნის სწავლებას ეთმობოდა მე-13 ლექცია. მას აინტერესებდა საკმარისი იყო თუ არა მათი აზრით ერთი ლექცია მონაცემთა ბაზების სრულყოფილად შესწავლისათვის.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მონაცემთა ბაზების ძირითადი საკითხები ისწავლებოდა მე-13 ლექციაში, ხოლო დანარჩენი საკითხები ისწავლებოდა მომდევნო სემესტრში გათვალისწინებულ კურსში.

ექსპერტმა მანანა ხაჩიძემ განმარტა, რომ მათი შენიშვნა შეეხებოდა იმას, რომ მონაცემთა ბაზებში წარმოდგენილი თემა, რომელიც მიბმული გახლდათ კონკრეტულ საათზე იყო დიდი მოცულობის და შეუძლებელი იყო განსაზღვრულ დროში მისი შესწავლა. ხოლო

ჟ. ჟ.

გარკვეული თემები იყო გაბნეული და არ იყო კონცენტრირებული, რაც ასევე არ მისცემდა სტუდენტს სრულყოფილ წარმოდგენას.

ექსპერტმა ასევე გააკეთა კომენტარი ლიტერატურასთან კერძოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურის რიდერების შესახებ, როდესაც შედგა გასაუბრება პროფესორ-მასწავლებლებთან მათ განაცხადეს, რომ სარგებლობდნენ რიდერებით, რომლებიც ასევე მითითებული ჰქონდათ სილაბუსებში მაგრამ მათ სამწუხაროდ ვერ მოახერხეს რიდერების ნახვა. ექსპერტმა ასევე განაცხადა რომ ორი წლით ადრე იმყოფებოდა უნივერსიტეტში სხვა პროგრამის შესამოწმებლად, სადაც დაფიქსირდა ანალოგიური შემთხვევა, წარმომადგენლებმა დადეს პირობა, რომ გამოასწორებდნენ, მაგრამ ამ ეტაპისთვისაც წლების წინ მიცემული რეკომენდაცია არ იყო გათვალისწინებული.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა რომელ პროგრამაზე იყო დაფიქსირებული ანალოგიური შენიშვნა რამდენიმე წლით ადრე. ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა გახლდათ ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა. დაწესებულებაში ხორციელდებოდა ინფორმატიკის, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამაც. ექსპერტმა ასევე განაცხადა, რომ ფიქსირდებოდა გადაკვეთა საგნების მიხედვით ინფორმატიკის საბაკალავროსა და აღნიშნულ პროგრამას შორის. ლიტერატურა გახლდათ მოძველებული 2006 წლის გამოცემული და მისი აზრით, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში 2012 წელს გამოშვებული სახელმძღვანელოც კი მოძველებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ინფორმატიკის პროგრამაზე თუ ჰყავდათ კურსდამთავრებულები და სად საქმიანობდნენ ისინი ამჟამად.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავებამდე ჩატარებულ იქნა გამოკითხვა აღნიშნული სპეციალობის მოთხოვნასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი სფერო იყო და ბიზნესი გახლდათ ყველაზე აქტიურად დაინტერესებული კვალიფიციური ინფორმატიკოსების მოზიდვით. მათ ჰყავდათ ინფორმატიკის სპეციალობის კურსდამთავრებულთა ორი გამოშვება, საიდანაც უმრავლესობა წარმატებით იქნა დასაქმებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს საბჭოს წევრებმა - მაგდა მაღრაძემ, ლევან გორდეზიანმა და ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

Ж. Ж.

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

თავმჯდომარემ მიმართა უნივერსიტეტს, რომ კიდევ ერთხელ განეხილათ და გაეთვალისწინებინათ ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და შენიშვნები, ვინაიდან საბჭოს მიაჩნდა, რომ გამოსასწორებელი გახლდათ არსებითი ხასიათის საკითხები, რომლის გამოსწორების გარეშეც პროგრამა დასახულ მიზნებსა და შედეგებზე ვერ გავიდოდა და შესაბამისად სტანდარტს არ აკმაყოფილებდა.

3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სოციალური და განწყობის ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: სოციალური და განწყობის ფსიქოლოგია
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა ნანა საგინაშვილმა.

- წარმოდგენილი პროგრამა სავსებით უზრუნველყოფდა დასახული მიზნისა და ამოცანების განხორციელებას, კურსდამთავრებულისათვის აუცილებელი და საკმარისი კომპეტენციების განვითარებას. თუმცა, სასურველი იყო პროგრამის განვითარების პროცესში შესაბამისი ენობრივი კომპეტენციების მქონე სტუდენტებისათვის უკვე არსებული ალტერნატიული დასავლური ლიტერატურის ფონდის შემდგომი გამდიდრება.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ლიტერატურის თვალსაზრისით ჰქონდათ ძალიან კარგი ბიბლიოთეკა, მიმართულების მიხედვით ჰქონდათ უახლესი ამერიკული, ქართული და რუსული ლიტერატურა. რაც შეეხებოდა პროგრამას, პრობლემას წარმოადგენდა უმაღლესებში ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მონაცემებით სწავლება განწყობის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, თუმცა დაწესებულება ახერხებდა განწყობის ფსიქოლოგიის მიმართულებით შეენარჩუნებინათ მდგომარეობა, მათ ჰყავდათ აღნიშნული დარგის მცოდნე პერსონალი, მიუხედავად იმისა რომ ბოლო წლების განმავლობაში ქართულმა ფსიქოლოგიამ მიიღო მძიმე ტრავმა მას შემდეგ რაც დაიხურა ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი გახლდათ სწავლის საფასური და რამდენი სტუდენტის მიღება იგეგმებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საფასური შეადგენდა 2250 ლარს და გეგმავდნენ 15-20 სტუდენტის მიღებას.

საბჭოს წევრი ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა საგნებში რა დოზით იყო ასახული ფსიქოლოგიის საფუძვლები განწყობის და სოციალური ფსიქოლოგიის შემადგენელი თემებით, არსებობდა თუ არა შესაბამისი მოდულები და სტუდენტს რომელ

სფეროში ექნებოდა ცოდნა, კერძოდ, ფსიქოლოგიის ნებისმიერ ქვედარგში, თუ მაინც და მაინც პროგრამის სათაურში გამოყოფილ სფეროში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი სურვილი მდგომარეობდა იმაში, რომ აქცენტი ყოფილიყო აღებული იმ კონკრეტულ მიმართულებაზე, რასაც გულისხმობდა პროგრამა. მათ არ ჰქონდათ მოდულები, რომელიც კონკრეტულ დარგებს შეეხებოდა. მიღება გათვალისწინებული იყო მხოლოდ ფსიქოლოგიის ბაკალავრებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სოციალური და განწყობის ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სოციალური და განწყობის ფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

ჟ. ჟ.

4. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა მაია გონაშვილმა და ეკა ლეკაშვილმა.

- რეკომენდირებული იყო ზოგიერთ საგანს წინა პირობებად მითითებოდა ის საგანი, რომელიც უშუალოდ მის წინაპირობას წარმოადგენდა. კერძოდ სამაგისტრო ნაშრომის და პრაქტიკის წინაპირობად უნდა განსაზღვრულიყო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების გარკვეული კრედიტების რაოდენობა, რადგან ასე შესაძლებელი იყო პირველ სემესტრშივე არჩევა. სასურველი იყო ,,მენეჯერული ეკონომიკა" ყოფილიყო ინოვაციური მენეჯმენტის/პროექტის მენეჯმენტის/ანტიკრიზისული მენეჯმენტის წინაპირობა. ასევე ,,ტურიზმის ბიზნესის სტრატეგიული მართვა" სასურველი იყო ,,სასტუმროებისა და რესტორნების სტრატეგიული მართვის წინაპირობა". სასწავლო კურსის სილაბუსში ,,ეკონომიკური ფსიქოლოგია" ან წინაპირობაში მითითებოდა რუსული ენის ცოდნა, ან ძირითად/სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული რუსულენოვანი სახელმძღვანელო გადასულიყო დამატებითში;
- რეკომენდირებული იყო ზოგიერთი სავალდებულო და არჩევითი საგნების გადაადგილება,. კერძოდ, ,,ელექტრონული მართვა" სავალდებულოდან გადასულიყო არჩევითში, სასწავლო კურსის ,,საინფორმაციო სისტემები ტურიზმში" ნაცვლად, რომლის სტატუსიც გახდებოდა სავალდებულო. ანალოგიურად სავალდებულო სასწავლო კურსს ,,ფინანსური რისკების მართვა" მინიჭებოდა არჩევითი კურსის სტატუსი სასწავლო კურსის ,,ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა" ნაცვლად, ხოლო ამ უკანასკნელს მინიჭებოდა სავალდებულო კურსის სტატუსი;

- რეკომენდირებული იყო ზოგიერთ საგანში შეფასების სისტემის დახვეწა (კერძოდ, ზოგიერთ სილაბუსში არეული იყო ქულათა რაოდენობა, ზოგიერთ სილაბუსში სადაც აფასებდნენ 2-2 ქულით ჩაშლილი იყო 5-6 ქულიანი შეფასება (ფინანსური რისკების მართვა). სადაც მაქსიმალური შეფასება იყო 3 ქულა, იქ ქულათა ჩაშლა იწყებოდა 4-დან (ინოვაციური მენეჯმენტი) ან პირიქით ეწერა შეფასება 6 და ჩაშლა იწყებოდა 5-დან (ბიზნესის კვლევა) და ა.შ. ასევე პრეზენტაცია ფასდებოდა 10-12 ქულით განმარტება იყო ერთნაირი, ფინანსური რისკების პრეზენტაციის შეფასების ერთ-ერთ კომპონენტში ეწერა, რომ 10-12 ქულა იწერებოდა როცა 10-12 ქულა - პრეზენტაციის შემთხვევაში: თემა გაშუქებული იყო სრულყოფილად, რეგლამენტი იყო დაცული, პრეზენტაციის ტექნოლოგია გამოყენებული იყო სრულად, კონტაქტი აუდიტორიასთან დამყარებული იყო სათანადო დონეზე. რეფერატის შემთხვევაში: მასალა სრულად იყო გადმოცემული, სტუდენტი ზედმიწევნით ამჟღავნებდა დამოუკიდებელი მუშაობის , დამოუკიდებელი მსჯელობისა და დასკვნის გაკეთების უნარს. აღნიშნული ბადებდა გაურკვევლობას 10 ან 11 ან 12 ქულით შეფასებების განსხვავებისას როგორც ლექტორისათვის ასე სტუდენტისათვის;

- მიზანშეწონილი იყო ,,ეკონომიკურ ფსიქოლოგიას" შინაარსიდან გამომდინარე დარქმეოდა ,,ეკონომიკური და ბიზნესის ფსიქოლოგია" , ხოლო ,,ტურიზმის სტრატეგიულ მართვას" - ,,სტრატეგიული მართვა" (ძირითადი ლიტერატურაც ამავე სახელწოდებით იყო);

- სასურველი იყო დახვეწილიყო სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სქემა, კერძოდ, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების 60% -ს აფასებდა მხოლოდ ერთი რეცენზენტი და დამატებოდა ან მეორე რეცენზენტის ან მეცნიერ-ხელმძღვანელის შეფასება.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდნენ რეკომენდაციების უმრავლესობას, მათ ნამდვილად გააუმჯობესეს პროგრამა, გათვალისწინებული იყო შენიშვნა წინაპირობებთან დაკავშირებით, ყველა ქეისი და რიდერები გახლდათ სასტუმროსა და ტურიზმის მენეჯმენტიდან, რაც შეეხებოდა ინფორმაციულ სისტემებს ტურიზმში, აღნიშნული გახლდათ ძალიან საინტერესო საგანი, ამიტომაც იკითხებოდა მისი პირველი ნაწილი ბაკალავრიატში. პროგრამაში მაქსიმალურად იყო გამოყენებული საქართველოში არსებული მწირი ქართულენოვანი ლიტერატურა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ არსებობდა რაიმე განსაკუთრებული მიმართულება, ან სპეციფიკა პროგრამაში, ვინაიდან დაწესებულება გახლდათ საპატრიარქოს მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აპირებდნენ ყველა რესურსის გამოყენებას პილიგრიმული ტურიზმისათვის, რომელიც გააჩნდა საპატრიარქოს, პროგრამაში განსაკუთრებული გახლდათ ის, რომ მათ ჰქონდათ ხელშეკრულებები გერმანიის რამდენიმე უნივერსიტეტთან, მესამე ჯგუფი გახლდათ უკვე წასული 3 თვიანი პრაქტიკის გასავლელად, პრაქტიკა ხორციელდებოდა საუკეთესო სასტუმროებში და სტუდენტები იღებდნენ შესაბამის სერთიფიკატს.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა სამაგისტრო ნაშრომში ჩადებული 10 კრედიტიანი პროფესიული პრაქტიკით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გერმანიაში აღებული 3 თვიანი პრაქტიკული კომპონენტით იგი მიიღებდა 10 კრედიტს.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი ვერ წავიდოდა გერმანიაში სად და როგორ განხორციელდებოდა პრაქტიკულ კომპონენტი.

Ж.Ж.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ გეოინფორმაციული ცენტრი, სადაც სტუდენტები გადიოდნენ პრაქტიკას, ასევე მათ ჰქონდათ თანამშრომლობა ძეგლთა დაცვის ორგანიზაციებთან, სადაც სტუდენტები შეძლებდნენ პრაქტიკის გავლას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ინგლისური ენის სწავლების დონით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინგლისური ენის სწავლების დონე გახლდათ B2. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ძირითადად ჩართულები იყვნენ ადგილობრივი პერსონალი. აღნიშნულ პროგრამაზე უნივერსიტეტის 20 კურსდამთავრებულიდან საბუთების შემოტანას გეგმავდა 6 სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს სხდომაზე 12:43 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 13:15 საათზე.

5. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 240

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა ნინო ჯოჯუამ.

- პროგრამის სრულყოფის მიზნით, მიზანშეწონილი იყო სასწავლო კურსი ფინანსური აღრიცხვა 2, რაც მოცემული პროგრამის არჩევით კომპონენტს წარმოადგენდა გადასულიყო სავალდებულო მოდულში;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნდა კომპონენტის ,,მაკროეკონომიკის პრინციპების" წინაპირობად განსაზღვრულიყო კომპონენტი ,,მიკროეკონომიკის პრინციპები" , ან კურსი განსაზღვრულიყო წინაპირობის გარეშე, მაგრამ მომხდარიყო აღნიშნული კურსის მოდიფიცირება და შესავალი თავების სახით კურსის შინაარსს დამატებოდა რამდენიმე საკითხი, რაც შეეხებოდა ეკონომიკური წრებრუნვისა და საბაზო ძალების ურთიერთქმედებას;
- რეკომენდირებული იყო ელექტრონულ ბაზაში შეფასების კრიტერიუმების ასახვის უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკა ასახული ყოფილიყო შესაბამის სილაბუსებშიც, რაც კიდევ უფრო გაზრდიდა შეფასებისას გამოყენებული კრიტერიუმების გამჭვირვალობას, გააძლიერებდა სტუდენტის ინფორმირებულობას. ამასთან არ შეიზღუდებოდა პერსონალის აკადემიური თავისუფლება.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კითხვები არსებობდა ორი კურსის გარშემო, მისი სურვილი იყო, რომ რაც შეიძლებოდა მეტი საგნები ყოფილიყო კონცენტრირებული არჩევით მოდულში, დაწესებულებაში ორი წელიწადი ხორციელდებოდა ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამა ავტორიზებულ რეჟიმში, მოხდა პროგრამის მოდიფიცირება და შეიქნა უფრო მეტად მოქნილი ფორმატი, რაც შემოტანილი იყო აკრედიტაციაზე. ,,მაკროეკონომიკის

ჟ. ჟ.

პრინციპებისათვის“ წინაპირობად ,,მიკროეკონომიკის პრინციპების“ განსაზღვრას ან მის მოდიფიცირებას, პროგრამის ხელმძღვანელთან და მის განმახორციელებელ პერსონალთან კონსულტაციების შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოდიფიცირების შესახებ და ამ გზით ექსპერტების რეკომენდაციის გაზიარება. ასევე გაზიარებულ იქნა მოსაზრება ერთი შესავალი სასწავლო კურსის შემუშავებაზე იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც გაზაფხულის სემესტრიდან ჩაერთვებოდნენ სასწავლო პროცესში, რაც გაუადვილებდა მათ სასწავლო კურსში შესვლას. რაც შეეხებოდა ელექტრონულ ბაზაში ასახული კრიტერიუმების სილაბუსებში ინტეგრირებას, დაწესებულებას ჰქონდა ჩარჩო სილაბუსის და პროგრამის ფორმა რომლის ფარგლებშიც ხდებოდა მათი მოქცევა, აღნიშნული გახლდათ საინფორმაციო ხასიათის, თუმცა პროფესორს ჰქონდა აკადემიური თავისუფლება და მას შეეძლო სრულად ან ნაწილობრივ გაეზიარებინა ჩარჩოს მოთხოვნა. როდესაც პროფესორები ირჩევდნენ საუნივერსიტეტო ფორმატს ასეთ შემთხვევაში ემორჩილებოდნენ ხარისხის სამსახურის მიერ გამოცემულ ფორმას, ხოლო თუ მას გაუჩნდებოდა მოდიფიცირების სურვილი მას ჰქონდა თავისუფლება აესახა იგი სილაბუსში. პროგრამაში ჩართულები იყვნენ ქართველი და ამერიკელი სპეციალისტები, რომლებიც ცხოვრობდნენ საქართველოში, თუმცა სემესტრულად ხდებოდა უცხოელი პროფესორების მოწვევაც.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რამდენი სტუდენტი სწავლობდა აღნიშნულ პროგრამაზე.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტები არ ირიცხებოდნენ ვინაიდან იყო ახალი და უნდა გაევლო აკრედიტაცია, ხოლო ავტორიზებულ პროგრამაზე სწავლობდა 50 უცხოელი სტუდენტი, რომელთა უმრავლესობა გახლდათ აფრიკის სახელმწიფოებიდან. აკრედიტაციის მიზანი გახლდათ ის რომ ქართულ ბაზარზე შემოსულიყო პროგრამა და ქართველ სტუდენტებს ჰქონოდათ გრანტის მოპოვების და სწავლის საშუალება.

საბჭოს წევრი რევაზ სოლომონია დაინტერესდა, რამდენი იყო სწავლის საფასური.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ განსხვავებული მიდგომა ჰქონდათ ქართველი და უცხოელი სტუდენტების შემთხვევაში, კერძოდ, ქართველებისათვის გადასახადი შეადგენდა 3950 ლარს, ხოლო უცხოელებისათვის 4500 დოლარს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ სად დასაქმდებოდნენ კურსდამთავრებულები. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს თავად ჰქონდა რამდენიმე კომპანია, ისინი ბიზნესის დაწყებაშიც შეუწყობდნენ კურსდამთავრებულებს ხელს, მათ ჰქონდათ მოლაპარაკება რამდენიმე ბანკთან, სესხის აღების შემთხვევაში უნივერსიტეტი დაუდგებოდა კურსდამთავრებულს თავდებში და ასევე დაწესებულებისგანაც მიიღებდნენ დაფინანსების ნაწილს. აღნიშნული სისტემა შემუშავებული გახლდათ მომავალი კურსდამთავრებულებისათვის.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ ხორციელდებოდა უნივერსიტეტში, უცხოეთში აკრედიტებული პროგრამა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ არ ჰქონდათ უცხოეთში აკრედიტებულ პროგრამა, გაწევრიანებული იყვნენ სხვადასხვა უნივერსიტეტების ასოციაციებში, პარტნიორული ურთიერთობები ჰქონდათ ბრიუსელის პოლიტიკას და დიპლომატიის სკოლასთან, სადაც სამომავლოდ იგეგმებოდა გარკვეული მოდულების ერთობლივად განხორციელება და ერთობლივი პროგრამის შემუშავებაც.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა კრიტერიუმებით ამოწმებდნენ მიღებისას უცხოელი სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონეს.

ქ. ქ.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილი იყო ყველა საერთაშორისო აღიარებული დიპლომისა თუ სერთიფიკატის ნუსხა, თუ რომელი უნდა ჰქონოდა სტუდენტს, შესაბამისად აღნიშნული ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენით ხდებოდა მიღება, ხოლო ქართველი სტუდენტების შემთხვევაში საკმარისი იყო ეროვნული გამოცდის ჩაბარება სადაც ინგლისური ენის დონე გახლდათ B2, ხოლო ქულობრივი ბარიერი განისაზღვრებოდა 60-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამედიცინო რეაბილიტაციისა და საექთნო საქმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: სამედიცინო რეაბილიტაცია და საექთნო საქმე
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჯანდაცვის ბაკალავრი ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში/ჯანდაცვის ბაკალავრი საექთნო საქმეში
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 240

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა თამარ გაიხარაშვილმა და თამარ ვალიშვილმა.

- რეკომენდირებული იყო საგანმანათლებლო პროგრამას თან დართვოდა სასწავლო კურსების წინაპირობების მატრიცა;
- რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსების სილაბუსებში ასახულიყო ინფორმაცია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის/კონსულტაციების შესახებ, შეხვედრების დროისა და ადგილის ან ზოგადად დაგეგმვის ფორმატის მითითებით;
- რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებოდა ინფორმაცია დასკვნით და დამატებით გამოცდებს შორის 10 დღიანი ინტერვალის შესახებ;
- რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსების სილაბუსებში მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით დაკონკრეტებულიყო თითოეულ კომპონენტში შეფასების ჯერადობა და ქულების გრადაცია, პრაქტიკული გამოცდის შემთხვევაში საჭირო იყო წინასწარ დადგენილიყო შესაფასებელი უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, ხოლო კვლევითი ნაშრომის/თეზისის შეფასებისას წინასწარ უნდა განსაზღვრულიყო შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები;
- რეკომენდირებული იყო პროგრამას თან დართვოდა სრული ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ;
- რეკომენდირებული იყო საგანმანათლებლო პროგრამას თან ხლებოდა ინფორმაცია განმახორციელებელი პერსონალის შესახებ;
- რეკომენდირებული იყო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირად საქმეებში ყოფილიყო სრულყოფილი ინფორმაცია მათი სამეცნიერო პუბლიკაციების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალის დოკუმენტაციაში მატერიალური სახით არ იყო წარმოდგენილი მათი ყველა პუბლიკაცია, მათ ჰქონდათ მიდგომა რომ მათი შერჩევის პროცესში მოთხოვნილი ჰქონდათ ის პუბლიკაცია, რომელიც მნიშვნელოვანი იყო გადაწყვეტილების მისაღებად, თუმცა აღსანიშნავი იყო, რომ აკადემიური პერსონალის ნებისმიერი ნაშრომი-პუბლიკაცია დაწესებ ელბაში ხელმისაწვდომი იყო ელექტრონული სახით, მაგრამ დოკუმენტაციის სრულყოფის მიზნით შესაძლებელი იყო მათი პირად საქმეებში გადატანა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა იგულისხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციაში სადაც ეწერა, რომ სასურველი იყო პროგრამას ჰქონოდა სრული ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ. ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამაში აკადემიური პერსონალის მონაცემებთან ერთად ფიქსირდებოდა ინფორმაცია მატერიალური რესურსის, კერძოდ შენობა-ნაგებობის, ასევე საუნივერსიტეტო კლინიკის შესახებ, თუმცა უნივერსიტეტს ასევე ჰქონდა კიდევ სხვა ბაზებიც სადაც ხორციელდებოდა სწავლება და სასურველი იქნებოდა ინფორმაცია სრულად ყოფილიყო გადმოცემული პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავებისას მასში მითითებული იყო თუ რა რესურსი იქნებოდა საჭირო მის განსახორციელებლად, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით ისინი გეგმავდნენ პროგრამის ამუშავებამდე მასზე დაერთოთ სრული მონაცემები ბაზების და აღჭურვილობის თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ყველა უნივერსიტეტს აქვს თავისი ფორმატი თუ როგორ წარმოადგენდა კურიკულუმს, თუმცა ამ შემთხვევაში არცერთ მოდულზე არ იყო მითითებული ვინ გახლდათ აკადემიური პერსონალი, რაც მისთვის ართულებდა შეფასებას. მას აინტერესებდა, სად ჰქონდათ წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის ჩამონათვალი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა სილაბუსში ეწერა მონაცემები განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, მათ ცალკე არ ჰქონიათ აკადემიური პერსონალის ჩამონათვალის ფორმა შემუშავებული, აღინიშნა, რომ პროგრამაში ჩართული 80 აკადემიური პერსონალი გახლდათ ადგილობრივი, ხოლო დანარჩენი მოწვეული, მან დაასახელა უმრავლესობის სახელი და გვარები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ აღნიშნული პროგრამის სასწავლო ენა ყოფილიყო ინგლისური. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა კურსდამთავრებულს გაუხსნიდა ასპარეზს არა მხოლოდ ქართულ არამედ საერთაშორისო ბაზარზეც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამედიცინო რეაბილიტაციისა და საექთნო საქმის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამედიცინო რეაბილიტაციისა და საექთნო საქმის ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

7. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამედიცინო რეაბილიტაციისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: სამედიცინო რეაბილიტაცია და ჯანდაცვის მენეჯმენტი
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის მაგისტრი/ ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრი
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 120

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა თამარ გაიხარაშვილმა.

- რეკომენდირებული იყო მიზანში უფრო კონკრეტულად გამოჩენილიყო მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობა;
- რეკომენდირებული იყო პროგრამაში გასწორებულიყო ჩანაწერი ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ და ორივე (როგორც ეროვნული სამაგისტრო გამოცდით, ისე საგამონაკლისო წესით ჩარიცხვის პრეტენდენტთათვის) შემთხვევაში ჩარიცხვის წინაპირობად დადგენილი ყოფილიყო ერთნაირი ფორმატი გამოცდის ან გასაუბრების სახით;
- რეკომენდირებული იყო საგანმანათლებლო პროგრამას თან დართვოდა წინაპირობების მატრიცა;
- რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებოდა ინფორმაცია დასკვნით და დამატებით გამოცდებს შორის 10 დღიანი ინტერვალის შესახებ;
- რეკომენდირებული იყო უფრო დეტალურად გაწერილიყო შეფასების კრიტერიუმები და მომხდარიყო ქულების გრადაცია, განმარტებულიყო რა ფორმატით ჩატარდებოდა ქვიზი და რის მიხედვით განაწილდებოდა მაქსიმალური 5, რიგ შემთხვევაში 10 ქულა;
- რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსების სილაბუსებში ასახულიყო ინფორმაცია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის/კონსულტაციების შესახებ, შეხვედრების დროისა და ადგილის ან ზოგადად დაგეგმვის ფორმატის მითითებით;
- რეკომენდირებული იყო პროგრამას თან დართვოდა სრული ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ;
- რეკომენდირებული იყო საგანმანათლებლო პროგრამას თან ხლებოდა ინფორმაცია განმახორციელებელი პერსონალის შესახებ;

- რეკომენდირებული იყო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირად საქმეებში ყოფილიყო სრულყოფილი ინფორმაცია მათი სამეცნიერო პუბლიკაციების შესახებ.

საბჭოს წევრი რევაზ სოლომონია დაინტერესდა, იყო თუ არა სამედიცინო განათლება პროგრამაზე მიღების წინაპირობად წარმოდგენილი, ვინაიდან მისი აზრით, აღნიშნული კვალიფიკაცია, რომელიც მიენიჭებოდა კურსდამთავრებულს მოითხოვდა სამედიცინო განათლებას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიღების წინაპირობაში მითითებული იყო პროგრამაში, კერძოდ მსურველს უნდა ჰქონოდა ექთნის კვალიფიკაცია ან უნდა ყოფილიყო სამედიცინო განათლების მქონე ბაკალავრი, დაწესებულება საქართველოს მასშტაბით თანამშრომლობდა მრავალ სარეაბილიტაციო გამაჯანსაღებელ ცენტრთან, სტუდენტი სწავლობდა ელემენტარულ საფუძვლებს ეკონომიკიდან და ბიზნესიდან, შემდგომ ემატებოდა კონკრეტული კონცენტრაცია. მაგ: კურსდამთავრებულს ექნებოდა უნარი მოევლო პაციენტისათვის და შეძლებოდა თვითონვე ეწარმოებინა ბუღალტერია. იგი იქნებოდა მაგისტრის ხარისხის მქონე მენეჯერი, რომელიც წარმართავდა აღნიშნულ მიმართულებას.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა, როგორი სახის სამაგისტრო ნაშრომს გააკეთებდა სტუდენტი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომი დაცული იქნებოდა ორივე მიმართულებით, მაგალითად: სამაგისტრო ნაშრომი ველნეს მენეჯმენტის სფეროში. ნაშრომი შედგენილი იქნებოდა წერითი და პრაქტიკული სამუშაოს სინთეზით, ხელმძღვანელი შესაძლებელი იყო ყოფილიყო ველნესის სპეციალისტი და მენეჯერი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სწავლის საფასურის ოდენობით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უცხოელი სტუდენტებისათვის გადასახადი იქნებოდა 4500 დოლარი, ხოლო ქართველებისათვის 3950 ლარი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამედიცინო რეაბილიტაციისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

ექსპერტების საბჭოზე გამოუცხადებლობის გამო საბჭომ ვერ განიხილა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი გადაიდო შემდეგი სხდომისთვის.

8. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: სამართალი
განათლების საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის დოქტორი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 180

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა ზაზა რუხაძემ.

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მითითებული იყო ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე. ზოგადად, სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობად B2–დან C-მდე მიდგომა დიფერენცირებული იყო, შესაბამისად სასწავლო დაწესებულებას შეეძლო აერჩია აღნიშნული მიდგომა, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სახეზე იყო წარმოდგენილი სამართლის სადოქტორო პროგრამა, სასურველი იქნებოდა მხედველობაში ყოფილიყო მიღებული ის გარემოებები, რომ ენობრივ-გრამატიკულ კონსტრუქციასთან ერთად გათვალისწინებული ყოფილიყო თემატური მრავალფეროვნების საკითხი, ვინაიდან აღნიშნული ორი მომენტი ყოველთვის სრულად არ ემთხვეოდა ერთმანეთს. ამასთან, სამართლებრივი ინგლისურიისათვის დამახასიათებელი იყო ბევრი არქაული კონსტრუქციის გამოყენება, რაც ართულებდა ტექსტის გაგებას განსაზღვრული დონის ენობრივი კონსტრუქციის ფლობის შემთხვევაშიც კი. შესაბამისად, პროგრამის კიდევ უფრო მეტი წარმატებისათვის და განხორციელების პროცესში ხარისხობრივად უკეთესი შედეგისათვის სასურველი იქნებოდა მიღების წინაპირობად მითითებული ყოფილიყო C1 დონე;

- კურსის ,,განათლების მენეჯმენტი" სილაბუსში სასურველი იყო ლიტერატურის განახლება. ვინაიდან საქმე გვქონდა სწრაფად განვითარებად და დინამიურ სფეროსთან. სასურველი იქნებოდა, თუნდაც არჩევითი ლიტერატურის სახით, ევროპული სტრუქტურების და სხვადასხვა ორგანიზაციების დასკვნების და ანგარიშების ჩართვა ლიტერატურის ჩართვა ჩამონათვალში;

- სასწავლო კურსის ,,აკადემიური წერა" შუალედური და დასკვნითი გამოცდის კომპონენტები იყო: თეორიული საკითხი და ღია კითხვები, რომლის მიხედვითაც ხდებოდა

სტუდენტის შეფასება. კურსის სპეციფიკიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა დასკვნითი გამოცდის სხვა ფორმატით ჩატარება (მაგ. წერილობით შესასრულებელი დავალების მიცემა), სადაც უფრო ნათლად გამოვლინდებოდა კურსის განმავლობაში შეძენილი ცოდნის რეალიზაციის უნარი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის სწავლების ენა გახლდათ ქართული, აქედან გამომდინარე მათ მიაჩნდათ, რომ B2 დონე იქნებოდა საკმარისი, ვინაიდან ყველა სამართლის პროგრამაზე, რომელიც გახლდათ აკრედიტებული მიღების წინაპირობა გახლდათ სწორედ B2 დონე. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით, იგი გახლდათ ცოცხალი პროცესი, რაც თავისთავად ითვალისწინებდა ლიტერატურის პერიოდულად განახლებას. მისაღები იყო რეკომენდაცია აკადემიურ წერასთან დაკავშირებითაც.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დავით ბოსტოღანაშვილი, პროგრამის ხელმძღვანელი გახლდათ მოწვეული პროფესორი თუ იკავებდა აკადემიურ თანამდებობას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დავით ბოსტოღანაშვილი გახლდათ მოწვეული, როდესაც წარმოდგენილი იქნა პროგრამა, თუმცა დაწყებული იყო კონკურსის რეჟიმი, რაც ასახული იყო თვითშეფასების კითხვარში. ამ ეტაპზე მას უკვე ეკავა აკადემიური თანამდებობა.

საბჭოს წევრმა რევაზ სოლომონიამ განაცხადა, რომ დოქტორანტურის მთავარი კომპონენტი გახლდათ კვლევა, შესაბამისად საინტერესო იყო ინფორმაცია აკადემიური პერსონალის და პუბლიკაციების შესახებ რაც არ იყო ასახული დასკვნაში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ჯგუფს, რომ ჰქონოდა რეკომენდაციები აღნიშნულ საკითხზე აუცილებლად ასახავდა ვრცელ ინფორმაციას დასკვნაში. პროგრამას ჰყავდა აკადემიური პერსონალი, სადისერტაციო ნაშრომის წინაპირობებს წარმოადგენდა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, 2 სტატიის გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალში. პროგრამა აკმაყოფილებდა სტანდარტის ყველა მოთხოვნას და მზად იყო მისი წარმატებით განხორციელებისათვის.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, ხომ არ ჰქონდა პროგრამას რაიმე კონკრეტული პრიორიტეტი კვლევის თვალსაზრისით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრიორიტეტი განისაზღვრებოდა კონკრეტული მოთხოვნიდან გამომდინარე, სამართლის ყველა მიმართულებით მათ ჰყავდათ 21 აკადემიური პერსონალი, 2 მოწვეული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომა დასრულდა 14:30 საათზე.

თავმჯდომარე
მაგდა მაღრაძე

მდივანი
ელიზბარ ელიზბარაშვილი